საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/54

ქ. ბათუმი **22 ოქტომბერი, 2021 წ**

„ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №05 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18, 37^1-37^4-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, 62^1-62^5-ე მუხლების, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №69 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N06-01/105 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №05 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების №1 დანართში (წესი) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატება:

ა) **წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„7. კონკურსანტის ანკეტა უნდა შეივსოს სრულად და თან დაერთოს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, უფლებამოსილი დაწესებულების/პირის მიერ გაცემული, წარმოსადგენად სავალდებულო დოკუმენტი/მასალა.";

ბ) **წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„9. განცხადების მიღების შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე გაიცემა სათანადო ცნობა, რომელშიც აღინიშნება განმცხადებელის სახელი, გვარი, ინსტიტუტისა და ვაკანტური თანამდებობის

დასახელება, რომლის დაკავება სურს განმცხადებელს, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი (ცნობის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით). საპროცედურო კომისიისგან ცნობის გაცემა ფიქსირდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.";

გ) **წესის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„7. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. ამ წესით გათვალისწინებული პროცედურის წარმართვის მიზნით და ეცნობება მომჩივან მხარეს.";

დ) **წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ (აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში) საკონკურსო მასალები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას). კონკურსში გამარჯვებულთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაციის გარკვეული ნაწილი (უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები) ინახება დასაქმებულის პირად საქმეში, ხოლო დასაქმებულის სხვა დოკუმენტაცია, ასევე კონკურსატების საკონკურსო მასალა (ვინც ვერ გაიმარჯვა კონკურსში ან გამოეთიშა კონკურსს) კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან ერთი თვის შემდეგ უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მიერ უბრუნდება შესაბამის დასაქმებულს/კონკურსანტს.";

ე) **წესის მე-8 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„4. ობიექტური გარემოების (ქვეყანაში/რეგიონში შექმნილი ეპიდვითარება ან/და სხვა) გათვალისწინებით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით შესაძლებელია დასაშვები გახდეს:
ა) საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მხოლოდ ელექტრონულად წარმოდგენა იმ პირობით, რომ კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ამ წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);
ბ) კონკურსანტის მიერ განცხადების/საჩივრის საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ

განმცხადებელზე/მომჩივანზე ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) საკონკურსო კომისიამ კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) საკონკურსო კომისიამ დაადგინოს მუშაობის ან/და კონკურსანტებთან გასაუბრების დისტანციური ფორმა (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) სააპელაციო კომისიამ დააგინოს მუშაობის დისტანციური ფორმა (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების“ კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტი.
3. გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ფაკულტეტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ.№30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**